„ საქართველოს საგარეო კურსი ისტორიულ პრიზმაში“

1991 წლის 9 აპრილს, იმავე წლის 31 მარტის რეფერემდუმის შედეგის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა. ამ დღიდან 30 წელი გავიდა ,რომლის განმავლობაშიც ქვეყანამ დემოკრატიული განვითარებისა და დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციის მნიშვნელოვანი პროცესები განვლო. საქართველოს წინსვლა და განვითარება კი მეტწილად არის დამოკიდებული ქვეყნის საგარეო კურსის პრორუსულიდან პროდასავლური მიმართულებით ცვლილებაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგარეო კურსი ისტორიულ კონტექსტში ყოველთვის იყო მიმართული დასავლურ სამყაროსთან იტეგრაციით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ კი განსაკუთრებით გაძლიერდა დემოკრატიული ღირებულებებისკენ სწრაფვა და საქართველოს მოსახელობის სრული უმეტესობაც ღიად აფიქსირებს პროდასავლურ განწყობებს და ქვეყნის ევროინტეგრაციის სურვილს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მისწრაფებებს დასავლეთისკენ გააჩნია ისტორიული მემკვიდრეობა. მნიშნელოვანი დემოკრატიული დანატოვარი აღმოჩნდა ქვეყნისთვის ერთი მხრივ პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921) დემოკრატიული მისწრაფებები და მეორე მხრივ ეროვნული მოძრაობის მიერ საბჭოთა იდეოლოგიის წინააღდეგ ბრძოლის გამოცდილება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მნიშნელოვანი გამოწვევა გახდა ხელისუფლების არჩევითობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები. ქვეყანამ კი განვითარების გზაზე განვლო არაერთი მძიმე პოლიტიკური თუ სოციალური პროცესი. სამოქალაქო ომების, სეპარატიზმის, ოკუპაციისა და რუსეთის მხრიდან საგარეო საფრთხეების მიუხედავად საქართველო ინარჩუნებს დასავლურ კურსს და მძიმე საბჭოური გამოცდილების მიუხედავად ქვეყანა ცდილობს თავის დამკვიდრებას საერთაშორისო თანამეგობრობის რიგებში.

დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე ქვეყანა იდგა თვითგადარჩენის და ტერიტორიული ერთიანობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. შესაბამისად ქვეყნის

საგარეო კურსიც ორიენტირებული იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე. ეს ამოცანა კი საგარეო პოლიტიკაში გულისხმობდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღიარების შენარჩუნებას და დამოუკიდებელ სუბიექტად ტრანსფორმაციას. სწორედ აღნიშნულ საერთაშორისო გამოწვევებს დაუკავშირდა სამომავლოდ საქართველოს პროდასავლური კურსი, რაც თავის მხრივ გულისხმობს ორ საერთაშორისო ვექტორს: ევროკავშირში ინტეგრაციას და ნატოში გაწევრიანებას. ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანება კი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და წინსვლისთვის ქვეყნის ისტორიაში დასავლური ინტეგრაციის მიმართულებით მნიშნელოვანი გახდა 2012-2013 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების მშვიდობიანად, არჩევნების გზით ჩანაცვლების პროცესიც.

საქართველომ დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე მიაღწია ევროკავშირთან თანამშრომლობის მნიშნელოვან პროგრესს. მნიშნელოვანი მიღწევაა ქვეყნის უახლეს ისტორიაში ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა ევროკავშირთან. სწორედ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია და ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირის შიდა ბაზარზე წვდომა. ქვეყნის დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის კუთხით მნიშნელოვანი ნაბიჯი გახდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულება. პოლიტიკური დიალოგის პროცესში კი აღნიშნული ხელშეკრულებით საქართველო კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირს ,რომელიც მუდმივად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ქვეყანას უსაფრთხოების და სტაბილურობის თავლსაზრისითაც.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პარალელურად საქართველოსთვის უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ამოცანად რჩება ნატოში გაწევრიანების საკითხიც. სწორედ ნატო წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტიას საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყანას ეხმარება პოლიტიკური ტრანსფორმაციების მიმართულებითაც. დამოუკიდებელი საქართველოს 30 წლის თავზე დანამდვილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სწორედ ნატო წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მოკავშირეს და ხელს უწყობს საქართველოს დასავლეთთთან ინტეგრაციის პროცესს.

გარდა საერთაშორისო პარტნიორებისა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მნიშნელოვანი გახდა კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება რეგიონალური მასშტაბით. ქვეყანამ შეძლო ეწარმოებინა ეკონომიკურად, კულტურულად და პოლიტიკურად სწორი კურსი თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან. შესაბამისად საქართველოს საერთაშორისო დისკურსში

მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს რეგიონალური ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება და რეგიონალური სტაბილურობის შენარჩუნების საკითხში განსაკუთრებული აქტიურობა. საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის და არაღიარების პოლიტიკის კუთხით კი მნიშნელოვანია აგრეთვე ქვეყნის დიპლომატიური კავშირების გაძლიერება როგორც მეგობარ, პარტნიორ სახელმწიფოებთან აგრეთვე შორეული ლათინო ამერიკის, თუ აფრიკის ქვეყნებთან.

საერთო ჯამში დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე ქვეყნის მნიშვნელოვან საგარეო გამოწვევად რჩება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული ოკუპაციის საკითხი. რომლის ფონზეც მშვიდობისა და განვითარების მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს ჩვენი დასავლური კურსის შენარჩუნება და გააზრებული, ფრთხილი სტრატეგიის შემუშავება საგარეო პოლიტიკის წარმოების პროცესში. გარდა ამისა მნიშნელოვან ამოცანას წარმოადგენს დამოუკიდებელი საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში, როგორც ჩვენი დასავლურ ოჯახში დაბრუნების და ადაპტირების მანიშნებელი. ეროვნული ინტერესების დაცვა და გატარება კი წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის წარმოების მნიშვნელოვან ქვაკუთხედს. შესაბამისად დამოუკიდებელი საქართველოს დასავლური საგარეო კურსი პირდაპირ არის დაკავშირებული, ერთი მხრივ ისტორიულ მემკვიდრეობასთან და მეორე მხრივ არის გარანტი ქვეყნის წინსვლისა თუ განვითარების. ეროვნული ინტერესების დაცვა კი მნიშვნელოვნად ემყარება ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს საბოლოო ინტეგრაციის პროცესს.

ავტორი: ქეთევან მურღულია